

აღზრდის სტილის კავშირი მოზარდის აგრესიულ ქცევასთან

მარიამ კაციტაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მია წერეთელი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ კაციტაძე

26.06.2019

აბსტრაქტი

აღზრდის სტილი და აგრესია მოზარდებში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად შესწავლილი თემაა ფსიქოლოგიაში. მის შესახებ პუბლიკაციები ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება და ყოველწლიურად იზრდება. არსებული კვლევების საფუძველზე მიჩნეულია, რომ აღზრდის სტილი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდობაში აგრესიულ ქცევასა და მენტალურ ჯანმრთელობაზე. მოცემულ ნაშრომში გამოვიკვლიეთ აღზრდის განზომილებების - ფსიქოლოგიური კონტროლის, მხარდაჭერის, ქცევის კონტროლისა და ავტონომიის მხარდაჭერის კავშირი მოზარდათა აგრესიულ ქცევასთან, როგორცაა ვერბალური, ფიზიკური, საგნობრივი, ემოციური და თვითაგრესია.

დედის მხრიდან ქცევის კონტროლი, ისევე როგორც ფსიქოლოგიური კონტროლი პოზიტიურად დაუკავშირდა მოზარდთა ზოგადი აგრესიის დონეს. ხოლო, მამის მხრიდან მხარდაჭერა და ავტონომიის მხარდაჭერა ნეგატიურად დაუკავშირდა მოზარდთა ზოგადი აგრესიული დონის მაჩვენებელს.

დამატებით აღმოჩნდა, რომ გოგონები და ბიჭები განსხვავებულ აგრესიული ქცევის ტიპს ავლენენ. გოგონებში მაღალია თვითაგრესია, ბიჭებში კი ფიზიკური აგრესია. გამოკითხულ მონაწილეთა მთლიან რაოდენობაში, კი ზოგადი აგრესიის საშუალო დონე გამოვლინდა.

მოზარდობა ეს ის პერიოდია, როდესაც იწყება ოჯახის გარეთ ურთიერთობების ჩამოყალიბება, ახალ აქტივობებში ჩართვა. განვითარების ამ ეტაპზე მშობლის მხრიდან ავტონომიის მხარდაჭერა უდიდეს მნიშვნელობას იძენს შვილთან კომუნიკაციისას, რათა გართულებების გარეშე დარეგულირდეს მოზარდის ქცევა და თავიდან აირიდოს სარისკო ქცევები.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ყველა იმ პირს, ვისთვისაც მოზარდთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საკვანძო სიტყვები: აღზრდის განზომილებები, აგრესიული ქცევა, მოზარდები

Abstract

Parenting style and aggression in adolescents is one of the most frequently studied topics in psychology. Publications about it starts from the first half of the 20th century and is growing annually. Based on the existing studies, it is considered that the parenting style has an important influence on aggressive behaviors and mental health in adolescence. In this study, we examined parenting dimensions of psychological control, autonomy support, behavioral control and support in connection with adolescent's aggressive behavior.

Mother's behavioral controlling communication style, as well as psychological control were positively correlated to adolescent's aggressive behavior. Father's autonomy support, as well as support were negatively associated with adolescent's aggressive behavior.

In addition, research findings suggest that girls and boys show different aggressive behavior forms. Girls show high indicator in self-esteem and boys in physical aggression. In the total number of interviewed participants, the average level of general aggression was revealed medium indicator.

Adolescence - this is the period when relationships begins outside of the family, involving in new activities. At this stage of development, parental autonomy support is very important, in order to avoid the risk of aggressive behavior.

Keywords: Parenting dimensions, Adolescence, Aggressive behaviors.